არჩევნებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვა საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში –

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება

2010 წლის 17 ივნისი

თბილისი, საქართველო – 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინაპერიოდში, არჩევნების დღეს და მის შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ", „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში 154 საჩივარი და განცხადება წარადგინეს. მათგან სრულად დაკმაყოფილდა 27, ნაწილობრივ – 12, ადგილზევე აღმოიფხვრა 7 და არ დაკმაყოფილდა 108.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" *საჩივრები და განცხადებები, ძირითადად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკოში) წარადგინა. სულ ორგანიზაციამ ცესკოს 9 საჩივრითა და შვიდი განცხადებით მიმართა. ყველა მათგანი წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ დარღვევებს (წინასაარჩევნო ავიტაციაში საჯარო მოხელეების უკანონო მონაწილეობას, მათ მიერ ადმინისტრაციული რესურსის წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენებას, ამომრჩევლებსა და ოპოზიციურ კანდიდატებზე ზეწოლას) ეხებოდა. ცესკომ 1 საჩივარი სრულად დააკმაყოფილა, 1 – ნაწილობრივ, დანარჩენების დაკმაყოფილებაზე კი უარი თქვა. მათგან ნაწილზე დაადგინა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ნაწილზე კი წარდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისად მიიჩნია. არჩევნების დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" 1 საჩივარი დაწერა. ის საარჩევნო უბანში ხმის მიცემის ინსტრუქციის გამოკვრის ვალდებულების არშესრულებას ეხებოდა. დარღვევა დაუყოვნებლივ აღმოიფხვრა.*

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" *ცესკოში, საოლქო საარჩევნო კომისიებში და სასამართლოებში 78 საჩივარი შეიტანა. მათგან 12 დამკვირვებელთა უფლებების შეზღუდვას ეხებოდა. ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა მხოლოდ 3 ასეთი საჩივარი დააკმაყოფილეს. 6 საჩივარი ამომრჩეველთა უფლებების დარღვევას ეხებოდა. 2 დარღვევა ადგილზევე აღმოიფხვრა, 1 საჩივარი მოგვიანებით დაკმაყოფილდა. 3 დაკმაყოფილებაზე საარჩევნო კომისიებმა უარი განაცხადეს. კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის პროცედურების დარღვევებს ეხებოდა 42 საჩივარი (24 – კენჭისყრის და 18 – ოქმების შედგენის პროცედურების დარღვევებს). სრულად დაკმაყოფილდა 9, ნაწილობრივ – 9, 4 ადგილზევე აღმოიფხვრა, 20-ის დაკმაყოფილებაზე უარი ითქვა.*

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" *საჩივრები სასამართლოებში (საქალაქო და სააპელაციო), ცესკოში და საოლქო საარჩევნო კომისიებში (თბილისის,*

ბათუმისა და ქუთაისის) შეიტანა. ისინი, ძირითადად, ამომრჩეველთა მოსყიდვის მცდელობის ფაქტებს, კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცედურების დარღვევებს, და არჩევნების შედეგების შეჯამებისას გამოვლენილ ხარვეზებს ეხებოდა. ზოგიერთი საჩივრით ორგანიზაცია დამრღვევი კომისიის წევრების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვდა, ზოგიერთით – დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენებას, ზოგით – საარჩევნო უბნის შედეგების ბათილობას, ზოგით კი – საარჩევნო უბანში ხმების ხელახლა გადათვლას.

სულ საოლქო საარჩევნო კომისიებში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ 39 საჩივარი წარადგინა. აქედან 12 სრულად დაკმაყოფილდა, 1 – ნაწილობრივ, დანარჩენები კი არ დაკმაყოფილდა. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებები ორგანიზაციამ ცესკოსა (12 საჩივარი) და სასამართლოებში გაასაჩივრა (8 საჩივარი). ცესკომ არცერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა, სასამართლომ – ერთი და ისიც ნაწილობრივ.

ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვისას სამი ძირითადი ტენდენცია გამოიკვეთა:

1. წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილების შემთხვევაში ზემდგომი საარჩევნო კომისიები ქვემდგომი კომისიების დამრღვევ წევრებს მინიმალურ სანქციებს აკისრებდნენ. *ამას იმით ხსნიდნენ, რომ კომისიების წევრთა ანაზღაურება კანონით დადგენილ ფინანსური სანქციების დაფარვას ვერ გაწვდებოდა.*

სასჯელის ყველაზე მსუბუქ ზომებს მიმართავდა საარჩევნო ადმინისტრაცია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისასაც. კანონით განსაზღვრული ოთხი ფორმიდან (შენიშვნა, გაფრთხილება, ხელფასის ნაწილის დაკავება, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა) ზემდგომი საარჩევნო კომისიები, როგორც წესი, ორ ყველაზე მსუბუქ ფორმას – შენიშვნასა და გაფრთხილებას – იყენებდნენ.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხის განხილვა იმდენად ჭიანურდებოდა, რომ მათ უფლებამოსილების ვადა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე გასდიოდათ და შესაბამისად, პასუხისმგებლობისგანაც თავისუფლდებოდნენ.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების წინააღმდეგ შეტანილი რამდენიმე საჩივარი კი ცესკომ იმ მიზეზებითაც არ დააკმაყოფილა, რომ, მისი განმარტებით, 1) საარჩევნო კანონმდებლობის ზოგიერთი დებულების სრულად შესრულება შეუძლებელი იყო და 2) კომისიის წევრებს დამღლელ და დაძაბულ რეჟიმში უწევდათ მუშაობა.

დარღვევების მიმართ საარჩევნო ადმინისტრაციის ასეთი მიდგომა მხოლოდ მკვეთრად უარყოფით შეფასებას იმსახურებს. ამ ქმედებით საარჩევნო კომისიებმა, ერთი მხრივ, კანონის მოთხოვნების უგულვებელყოფის მიმართ თავიანთი გულგრილი დამოკიდებულება გამოავლინეს

და მეორე მხრივ, მსგავსი დარღვევების მომავალ არჩევნებში განმეორების რისკი თუ არ გაზარდეს, ნამდვილად არ შეამცირეს.

2. წარდგენილი საჩივრების განხილვისას ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები საქმის დეტალურად შესწავლას და რეალური სურათის დადგენას არ ცდილობდნენ. *ისინი უფრო მეტად იმით იყვნენ დაინტერესებულები, რომ საჩივრებში ხარვეზები აღმოეჩინათ და მათ განხილვასა თუ დაკმაყოფილებაზე უარი ამ მიზეზით ეთქვათ.*

ხშირად არ ხდებოდა მომჩივანი მხარის მიერ საჩივარში მითითებული მოწმეებისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, თანდართული მტკიცებულებების სათანადოდ გამოკვლევა, დამატებითი ინფორმაციის მოძიება, ქვემდგომი კომისიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის (რომელიც ზოგიერთ საქმესთან მიმართებაში განზრახ დამახინჯებულ გარემოებებს ეყრდნობოდა) სიზუსტის გადამოწმება და ა. შ.

ზოგჯერ გადაწყვეტილებების გამოტანისას საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები კანონს მიკერძოებულად (მმართველი პარტიის ან საარჩევნო კომისიების სასარგებლოდ) განმარტავდნენ და სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე დებულებას სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემური საარჩევნო კანონმდებლობის ის ნორმები იყო, რომლებიც გასაჩივრების პროცედურებსა და დამკვირვებლების საარჩევნო უბანზე დაშვების საკითხებს არეგულირებს.

საბოლოო ჯამში, აშკარა იყო საარჩევნო ადმინისტრაციის სურვილი, რომ, კანონის მოთხოვნებისა და არჩევნების სამართლიანობის ნაცვლად, კომისიების წევრები და მმართველი პარტია დაეცვა.

3. ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო ფაქტი კი ის არის, რომ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების ცალკეული წევრები და ხელმძღვანელი პირები საჩივრების განხილვისას დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოწინააღმდეგეებად აღიქვამდნენ. *ხშირად ისინი უდიდეს აგრესიას ავლენდნენ და პიროვნულ შეურაცხყოფაზეც გადადიოდნენ.*

ასეთი განხილვები იმით სრულდებოდა, რომ მხარეები ფაქტობრივი გარემოებების გაცნობასა და შეფასებას ვერ ახერხებდნენ, და საარჩევნო ადმინისტრაციას ცალმხრივი, არაადეკვატური გადაწყვეტილებები გამოჰქონდა.

29 მაისს გამოქვეყნებულ წინასაარჩევნო პერიოდის შემაჯამებელ განცხადებაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა ცესკოს საქმიანობა, ზოგადად, დადებითად შევაფასეთ და ხაზი, განსაკუთრებით, მის გამჭვირვალობასა და კონსტრუქციულობას გავუსვით. საოლქო საარჩევნო კომისიებში მაშინვე გაცილებით უარესი სურათი იყო. სამწუხაროდ, ცესკომ ეს კონსტრუქციულობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და საჩივრების განხილვის პროცესით თავის მიუკერძოებლობასა და პროფესიულ რეპუტაციას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

ამ მიმართულებით წინა, 2008 წლის, არჩევნებთან შედარებით 2010 წელს დადებითი ცვლილებები მხოლოდ ის იყო, რომ ცესკოს მიერ მომზადებული საჩივრის ფორმა ყველა საარჩევნო უბნის კომისიას ჰქონდა, და საოლქო საარჩევნო კომისიები საჩივრების განხილვის დღისა და თარიღის თაობაზე მომჩივნისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას სრულად ასრულებდნენ.

სადამკვირვებლო ორგანიზაციების ფუნქცია, ბევრი სხვა პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობასთან ერთად, დარღვევების გამოვლენა და მათზე სათანადო რეაგირების მოთხოვნაა. დარღვევების შესწავლის ინიცირების უფლება და ვალდებულება საარჩევნო ადმინისტრაციასაც აქვს, თუმცა ამ ეტაპზე მას უფრო პრიორიტეტულად არჩევნების ორგანიზება მიაჩნია. ამ ფონზე ის უნდა შეეცადოს, რომ პროგრამა მინიმუმ მაინც შეასრულოს და თუ დამოუკიდებლად ინიცირებას ვერ ახერხებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული ინფორმაცია მაინც საფუძვლიანად შეისწავლოს და კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებები გამოიტანოს.

თბილისი 0108, ბროსეს №6 • 6 Brosse St., Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 48 96
ელ-ფოსტა/E-mail: ngomediacentre@gmail.com